

საქართველოში გავრცელებული წვრილი ძუძუმწოვრების დნმ-
ბარკოდინგი

სოფიო მაღლაკელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტზე
ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

პროგრამა - ბუნების დაცვა და მეტყვეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე ბუხნიკაშვილი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი:

ლევან მუმლაძე, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი	2
კვლევის მიზანი.....	4
მეთოდოლოგია	4
სინჯების შეგროვება.....	4
დნმ-ის გამოყოფა და პჯრ	6
მონაცემთა ანალიზი	6
შედეგები და დისკუსია.....	7
ხელფრთიანები	9
მწერიჭამიები.....	11
მღრღნელები.....	12
დასკვნები და რეკომენდაციები	14
მადლობა	16
ბიბლიოგრაფია	16
დანართები.....	22

აბსტრაქტი

საქართველო კავკასიის ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ხასიათდება მაღალი ენდემიზმითა და ბიოლოგიური მრავალფეროვნებით. საქართველოში გავრცელებულია 80 სახეობის წვრილი ძუძუმწოვარი (მწერიჭამიები, ხელფრთიანები, მღრღნელები და კურდღლისებრნი) და მათზე წარმოებულ ეკოლოგიურ კვლევებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა დღემდე ინფორმაცია მათი გავრცელების შესახებ არაა დაზუსტებული, რადგან მუდმივად ხდება ქვეყნისთვის ახალი სახეობების დაფიქსირება თანამედროვე გენეტიკური კვლევების დახმარებით. წვრილი ძუძუმწოვრების კვლევა კომპლექსურ მიდგომებს საჭიროებს ზოგიერთი სახეობების კრიპტულობის და სიმპატრიული გავრცელების გამო. გამოცდილი ტაქსონომისტის დასკვნასთან ერთად, საჭიროა მოლეკულურ-გენეტიკური ანალიზი, დნმ-ბარკოდინგი, რომელიც სწრაფი და ეფექტური ინსტრუმენტია რეგიონის ბიომრავალფეროვნების შესასწავლად და მორფოლოგიური ანალიზის დასაზუსტებლად. კვლევის მიზანი იყო საქართველოში გავრცელებული წვრილი ძუძუმწოვრების დნმ-ბარკოდების ბიბლიოთეკის შექმნა, პრობლემური საკითხების გამოვლენა და სამომავლო კვლევების დაგეგმვა. კვლევის ფარგლებში შეიქმნა დნმ-ბარკოდების ბიბლიოთეკა, რომელიც ამჟამად მოიცავს საქართველოში გავრცელებული წვრილი ძუძუმწოვრების სახეობების 54%-ს; სამომავლოდ საჭიროა ბიბლიოთეკის სრულყოფა და მისი შევსება დანარჩენი სახეობების გენეტიკური მონაცემებით. ასევე, გამოვლინდა საქართველოსთვის ორი ახალი სახეობა (*Microtus rossiameridionalis* და *Myotis tschuliensis*) და აღიწერა მიტოქონდრიული დნმ-ის საინტერესო სქემა ხელფრთიანებში, რომელიც სამომავლოდ უფრო დეტალურ ანალიზს საჭიროებს.

საძიებო სიტყვები:

წვრილი ძუძუმწოვარი, დნმ-ბარკოდინგი, CO1, კავკასია, საქართველო.